საქართველოს სახალხო დამცველის საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს სახალხო დამცველი

№ 1 პერიოდული გამოცემა 2017 წ. იანვარი

გამოცემულია ევროკავშირის პროექტის „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ხელშეწყობა" მხარდაჭერით

1. სახალხო დამცველის მისალმება

საქართველოს სახალხო დამცველი
უჩა ნანუაშვილი

შინაარსი:

1. სახალხო დამცველის საჯარო განცხადებები 1
2. სახალხო დამცველის და სახალხო დამცველის მოადგილეების შეხვედრები და საერთაშორისო ვიზიტები 2
3. სახალხო დამცველის რეკომენდაციები და წინადადებები სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს 3
4. სახალხო დამცველისა და სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობა 4
   სამოქალაქო განათლების მიზნით ჩატარებული ღონისძიებები 6
5. რეგიონული დეპარტამენტის პერიოდული საქმიანობა 7
6. წარმატებული საქმეები 8
7. საერთაშორისო სიახლეები ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით 9
8. სახალხო დამცველის აპარატის ამბები 9

იანვარი, ახალი წლის პირველი თვე ახალი იმედებისა და მოლოდინების პერიოდია. მეც ჩემი იმედები და მოლოდინები მაქვს, მინდა ახალი წლიდან დავძლიოთ ის პრობლემები, რომლებიც გასულ წერს ვერ მოვაგვარეთ, სოციალური გაჭირვება, ჯანდაცვის გამოწვევები, ადამიანის უფლებების შელახვა, დავიბრუნოთ გამყოფ ხაზს იქით მცხოვრები ჩვენი მოქალაქეები; მინდა თანადგომამ, შემწყნარებლობამ, ურთიერთპატივისცემამ და მშვიდობამ დაისადგუროს ჩვენს ქვეყანაშიც და ჩვენს გულებშიც. ჯანმრთელობას, ბედნიერებას, კეთილდღეობას და სულიერ სიმშვიდეს გისურვებთ საქართველოს მოქალაქეებო.

აქვე მინდა მადლიერება გამოვხატო უკრაინის სახელისუფლებო ორგანოებისადმი, რომლებმაც ვიცე–პოლკოვნიკი გიორგი ცერცვაძე რუსეთისთვის გადაცემის საფრთხისგან იხსნეს. ჩემმა კოლეგამ, უკრაინის სახალხო დამცველმა ქალბატონმა ვალერია ლუტკოვსკამ პირად კონტროლზე აიყვანა ქართველი სამხედროს საქმე და მონიტორინგს გაუწევს მანამდე, სანამ უკრაინის გენერალური პროკურატურა დოკუმენტურად არ დაადასტურებს, რომ არ აპირებს მისი რუსეთის ფედერაციისთვის გადაცემას.

რა თქმა უნდა, ქართულმა სახელმწიფომ მაქსიმალურად უნდა დაიცვას საკუთარი მოქალაქის

უფლებები ყველგან, მათ შორის უცხოეთშიც და ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ არ მოხდეს მისი გადაცემა მტრული სახელმწიფოსთვის.

27 იანვარს, ჰოლოკოსტის ხსოვნის საერთაშორისო დღეს ფონდ „ლეასთან ერთად“ ღონისძიება გავმართეთ, სანთლები დავანთეთ და პატივი მივაგეთ ჰოლოკოსტის დროს დაღუპული 6 მილიონი ებრაელის, 2 მილიონი ბოშისა და ნაცისტური რეჟიმის ყველა სხვა მსხვერპლის ხსოვნას.

ეს დღე გვახსენებს, რომ ფხიზლად უნდა ვიყოთ, რათა ბოროტებამ კვლავ არ მოიკრიბოს ძალა და არნახული განადგურების იარაღად არ იქცეს ამ კონფლიქტებით, ტერორიზმით, ფუნდამენტალიზმითა და ეთნიკური ნაციონალიზმით აღსავსე მსოფლიოში.

იანვარში ჩვენი ტრადიციული საჯარო დებატები ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში არსებული საინფორმაციო გარემოს განხილვას მივუძღვენით და ინფორმირების ეფექტური სისტემის ჩამოყალიბებაზე ვისაუბრეთ; აღვნიშნეთ, რომ ინფორმაციის ორმხრივი სიმწირის გამო შენელებული სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესი აფერხებს ერთიანი, ძლიერი და მტკიცე სახელმწიფოს ჩამოყალიბებას.

არ შემიძლია ჩემი უკიდურესად უარყოფითი დამოკიდებულება არ გამოვხატო აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების მიერ გამყოფ ხაზზე არსებული ზოგიერთი გამშვები პუნქტის გაუქმების შესახებ. გამშვები პუნქტების დახურვა გაუმართლებელ დაბრკოლებებს უქმნის გალის რაიონის მოსახლეობას. ამ საკითხთან დაკავშირებით ჟენევის საერთაშორისო დისკუსიებში მონაწილე მხარეებს ცალსახა პოზიციის გამოხატვისა და ქმედითი ღონისძიებების გატარების თხოვნით მივმართე.

იანვარში ამოქმედდა ჩვენი სატელევიზიო პროექტი, სადაც საზოგადოებრივი მაუწყებლობის ხელმძღვანელებთან შეთანხმებით, ყოველი თვის ბოლო ორშაბათს საღამოს 5 საათზე გადაცემა „რეალურ სივრცეში“ უნდა გვესაუბრა ადამიანის უფლებებზე, სახალხო დამცვლის აპარატის საქმიანობაზე, გვეპასუხა მოქალაქეთა შეკითხვებისთვის. პირველმა გადაცემამ კარგად ჩაიარა, თუმცა საზოგადოებრივ მაუწყებელზე მიმდინარე ცვლილებების გამო, შესაძლოა გადაცემა შეაჩერონ. იმედი მაქვს, რეფორმები კანონის ფარგლებში, სამართლიანად და მაქსიმალურად გამჭვირვალედ წარიმართება და კანონით გათვალისწინებული პროგრამები გაგრძელდება. „რეალური სივრცე“ სჭირდება ქვეყანას, რათა რეალურად დავინახოთ, რეალურად არსებული პრობლეები.

გარდა ამისა, ჩვენს საინფორმაციო ბიულეტენში იხილავთ რეკომენდაციებს და მათ წარმატებულ შედეგებს, გაეცნობით ინფორმაციას გამართული შეხვედრების, საჯარო განცხადებების, ჩატარებული ტრენინგების, შემოსული განცხადებებისა და სხვადასხვა საქმიანობის შესახებ.

2. სახალხო დამცველის საჯარო განცხადებები

2.1. ძალადობრივი საახალწლო ვიდეო-რგოლის შესახებ

5 იანვარი. სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა სარეკლამო რგოლის – „სანტას თოვლის ბაბუამ წაასწრო“, შემქმნელ კომპანიას New Studio-ს მიმართა, შეწყვიტოს რეკლამის გავრცელება და მომავალში განსაკუთრებული გულისხმიერება გამოიჩინოს ბავშვის უფლებების დაცვის მიმართ.

ინტერნეტით გავრცელებული სარეკლამო რგოლის სიუჟეტი საახალწლო ინტერიერში ვითარდება, რაც თავისთავად იქცევს ბავშვის ყურადღებას. შემდეგ კი ნაჩვენებია ძალადობრივი სცენა (ქართველი თოვლის ბაბუა სანტა კლაუსს კლავს, ვინაიდან ფიქრობს, რომ „ნამდვილი კაცი კარიდან შემოდის“), რომელსაც ბავშვიც ესწრება. არსებობს საფრთხე, რომ არასრულწლოვნები არასათანადოდ აღიქვამენ რეკლამის სიუჟეტს, რამაც შესაძლოა მათ განვითარებაზე უარყოფითი გავლენა მოახდინოს.

2.2. განცხადება აფხაზეთის გამყოფ ხაზზე გამშვები პუნქტების შესაძლო გაუქმებასთან დაკავშირებით

6 იანვარი. სახალხო დამცველი უარყოფითად აფასებს აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების გეგმას, ენგურის ხიდის გარდა, გამყოფ ხაზზე არსებული ყველა სხვა გამშვები პუნქტის გაუქმების შესახებ და მიიჩნევს, რომ გამშვები პუნქტების დახურვა ზღუდავს გალის რაიონის მკვიდრთა გადაადგილების თავისუფლებას, უქმნის მათ გაუმართლებელ დაბრკოლებებს ჯანდაცვის, განათლების, ვაჭრობის, ოჯახური კავშირების შენარჩუნებისა თუ სხვა მიმართულებით.

სახალხო დამცველმა მიმართა ჟენევის საერთაშორისო დისკუსიებში მონაწილე მხარეებს გადახედონ თავიანთ პოზიციებს და ნუ მიიღებენ ისეთ გადაწყვეტილებებს, რომლებიც კიდევ უფრო დაამძიმებს კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის უფლებრივ მდგომარეობას და დაძაბავს ურთიერთობებს.

2.3. სახალხო დამცველის შეფასებით ბორჯომის მუნიციპალიტეტის „ახალდაქორწინებულთა პროგრამა“ დისკრიმინაციულია

23 იანვარი. სახალხო დამცველმა მოუწოდა ბორჯომის მუნიციპალიტეტს, გააუქმოს ახალდაქორწინებულთა პროგრამით განსაზღვრული დისკრიმინაციული მოთხოვნა და მომავალი საქმიანობით ხელი შეუწყოს გენდერულ თანასწორობას რეგიონში.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ახალდაქორწინებულთა პროგრამაში ჩართვისთვის, რომელიც ერთჯერად 150 ლარის ოდენობით დახმარებას ითვალისწინებს, აუცილებელ მოთხოვნას მეუღლე მამაკაცის ბორჯომში რეგისტრაცია წარმოადგენს, ხოლო ქალთა რეგისტრაციის ადგილს მნიშვნელობა არ ენიჭება. სახალხო დამცველის აზრით, მუნიციპალიტეტის მოთხოვნა, ხაზს უსვამს მამაკაცის დომინანტურობას ოჯახში და კიდევ უფრო ამყარებს საზოგადოებაში არსებულ სტერეოტიპებს ქალისა და მამაკაცის განსაზღვრული როლების შესახებ.

3. სახალხო დამცველის და სახალხო დამცველის მოადგილეების შეხვედრები და საერთაშორისო ვიზიტები

3.1. შეხვედრები პანკისის ხეობაში

10 იანვარს საქართველოს სახალხო დამცველის პირველი მოადგილე ნათია კაციტაძე პანკისის ხეობის სოფელ დუისში სალაფიტური თემისა და უხუცესთა საბჭოს წარმომადგენლებს შეხვდნენ და პანკისში არსებული ზოგად მდგომარეობა, ახალგაზრდათა ინტერესები, მიზნები და პერსპექტივები განიხილეს.

ნათია კაციტაძე ასევე დაესწრო პანკისის სათემო რადიო WAY-ს ოფისში გამართულ დისკუსიას „დამოუკიდებელი აქტორების როლი და გამოწვევები პანკისის ხეობაში“, სადაც ასევე განიხილეს 3 იანვარს ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია კახეთის რეგიონული განვითარების ფონდის ოფისისათვის ცეცხლის წაკიდების ფაქტი და ამ ინციდენტის სავარაუდო მიზეზები.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ სახელმწიფო ვალდებულია, სწრაფად და სრულყოფილად გამოიძიოს დანაშაული, ხოლო, გამოძიების დასრულებამდე დაიცვას უდანაშაულობის პრეზუმფცია. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, პანკისში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მედიასაშუალებებს უსაფრთხოებისა და მშვიდ გარემოში მუშაობის გარანტია ჰქონდეთ.

3.2. სახალხო დამცველი პარლამენტის თავმჯდომარეს შეხვდა

20 იანვარს სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა პარლამენტის თავმჯდომარესთან ირაკლი კობახიძესთან გამართულ პირველ ოფიციალურ შეხვედრაზე სახალხო დამცველის აპარატის მიმდინარე საქმიანობა, ადამიანის უფლებათა მდგომარეობა ქვეყანაში და ამ მიმართულებით შემუშავებული მთავარი რეკომენდაციები გააცნო. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო „სახალხო დამცველის შესახებ“ და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის დახვეწას და საკონსტიტუციო კომისიის მუშაობას.

3.3. სახალხო დამცველი დიდი ბრიტანეთის ელჩს შეხვდა

25 იანვარს საქართველოს სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი და სახალხო დამცველის პირველი მოადგილე ნათია კაციტაძე დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს ელჩს საქართველოში ჯასტინ მაკკენზი სმიტს შეხვდნენ.

სახალხო დამცველმა ელჩს აპარატის საქმიანობა, ადამიანის უფლებების გაუმჯობესების კუთხით მომზადებული მთავარი რეკომენდაციები და საკანონმდებლო ინიციატივები გააცნო. განიხილეს მართლმსაჯულების რეფორმა, დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნის აუცილებლობა, დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონის იმპლემენტაციის პროცესი, გენდერული გარემო და კონფლიქტურ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობა; ასევე საკონსტიტუციო კომისიის საქმიანობა და სახალხო დამცველის ინიციატივები ამ მიმართულებით.

4. სახალხო დამცველის რეკომენდაციები, წინადადებები და ზოგადი წინადადებები

4.1. საცხოვრებელი ადგილის ნიშნით დისკრიმინაცია საცხოვრისით დაკმაყოფილების პროცესში

18 იანვარს საქართველოს სახალხო დამცველმა თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს და თბილისის მერს მიმართა რეკომენდაციით, უსახლკაროთა სოციალური საცხოვრისით დაკმაყოფილებისას დაიცვან თანასწორობის პრინციპი და ჩაატარონ აქტიური საინფორმაციო კამპანია.

თბილისის საკრებულოს 2015 წლის 27 ნოემბრის დადგენილებით, ორხევის სოციალური საცხოვრისით დაკმაყოფილების საკითხის განხილვის პროცესში უპირატესობა დასაბუთების გარეშე მიენიჭათ ისნის ყოფილი სამხედრო ჰოსპიტალის შენობასა და ზღვის უბნის კორპუსებში მაცხოვრებლებს.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ უსახლკარობის წინააღმდეგ ეფექტური პოლიტიკის არარსებობამ შესაძლოა ბიძგი მისცეს და გაამყაროს სოციალური სეგრეგაცია, რაც თავის მხრივ ხანგრძლივ უთანასწორობას იწვევს.

* თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ რეკომენდაცია გაიზიარა და ორხევის სოციალური საცხოვრისით უზრუნველყოფის წესში ცვლილებების შეტანის შესახებ დადგენილება მიიღო, რომლითაც საცხოვრისით სარგებლობისას კონკრეტულ შენობებში მაცხოვრებელი უსახლკარო პირებისთვის უპირატესობის მიმნიჭებელი ნორმა გაუქმდება.

4.2. რეკომენდაცია მარტყოფის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პანსიონატში არსებული პრობლემების თაობაზე

24 იანვარს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდს“, უზრუნველყოს მარტყოფის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პანსიონატში არსებული პრობლემების მოგვარების მიზნით საჭირო ღონისძიებების გატარება.

სახალხო დამცველმა საქმის შესწავლის პროცესში მარტყოფის შშმ პირთა პანსიონატში მრავალი პრობლემა გამოავლინა. მათ შორის გადატვირთულობა, ადმინისტრაციის უუნარობა, ყველა რგოლში მიმდინარე დაპირისპირებები, პრობლემების მიმართ სწორი ხედვისა და შესაბამისი სამუშაო სტრატეგიის არარსებობა. ბენეფიციარების მიმართ არათანაბარი მიდგომა, ხოლო მათ შორის წარმოშობილი კონფლიქტური სიტუაციების განსამუხტად დასჯის სახით ფსიქიატრიულ დაწესებულებაში გადაყვანის, ან გადაყვანის მუქარის გამოყენება.

სახალხო დამცველმა რეკომენდაციაში არსებული პრობლემების მოგვარების გზებზე ისაუბრა და მიუთითა, რომ აუცილებელია ხელმისაწვდომი გახდეს ზოგადი პროფილის და ექიმი–ფსიქიატრის, ასევე სოციალური მუშაკის, ფსიქოლოგის, ოკუპაციური თერაპევტის მომსახურება; ამაღლდეს დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია, გაძლიერდეს და მრავალფეროვანი გახდეს ბენეფიციართა სარეაბილიტაციო პროგრამები, მოხდეს ძალადობის ფაქტების დროული იდენტიფიცირება და ძალადობის მსხვერპლთა შესაბამისი რეაბილიტაცია.

5. სახალხო დამცველისა და სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობა

5.1. გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის 74-ე სესია

25 იანვარს, საქართველოს სახალხო დამცველის მოადგილემ ეკატერინე სხილაძემ და სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებების ცენტრის ხელმძღვანელმა მაია გედევანიშვილმა ჟენევაში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვის უფლებათა კომიტეტის 74-ე სესიაში მიიღეს მონაწილეობა. სესიაზე გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის განხორციელების შესახებ საქართველოს მე-4 პერიოდული ანგარიში; ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიციის, საქართველოში გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენლობისა და საქართველოს სახალხო დამცველის მიერ მომზადებული ალტერნატიული ანგარიშები განიხილეს.

სახალხო დამცველის შუალედურ ანგარიშში ასახულია ბავშვთა უფლებების სფეროში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები,

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა, ოჯახური გარემო და ალტერნატიული ზრუნვის საშუალებები, განათლების უფლება, წყლის ხარისხი საჯარო სკოლებში, ფიზიკური დასჯის აკრძალვის მექანიზმები, ხუთ წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობა, ბავშვთა მიმართ ძალადობა და სხვა მწვავე საკითხები.

5.2. საჯარო კონსულტაცია სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციისა და ძალადობისგან დაცვის საკითხებზე

25 იანვარს საქართველოს სახალხო დამცველის მოადგილე ეკატერინე სხილაძე ჟენევაში, გაერთიანებული ერების ოფისში სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციისა და ძალადობისგან დაცვის საკითხებში დამოუკიდებელ ექსპერტთან ბატონ ვიტიტ მუნტარბორნთან გამართულ საკონსულტაციო შეხვედრას დაესწრო.

შეხვედრისას განიხილეს დამოუკიდებელი ექსპერტის მანდატი, საქმიანობის ძირითადი მიმართულებები. დამსწრეებს საშუალება ჰქონდათ მიეწოდებინათ რეკომენდაციები დამოუკიდებელი ექსპერტის სამომავლო საქმიანობის მიმართულებებსა და თანამშრომლობის შესაძლებლობებზე.

შეხვედრამდე სახალხო დამცველმა დამოუკიდებელ ექსპერტს წერილობითი მოსაზრება წარუდგინა, სადაც მიმოხილულია დისკრიმინაციის საკითხებზე სახალხო დამცველის საქმიანობის ძირითადი შედეგები, სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის ნიშნით ძალადობისა და დისკრიმინაციის მიმართულებით არსებული ძირითადი ტენდენციები და სამომავლოდ განსახორციელებელი აქტივობები.

5.3. ჰოლოკოსტის ხსოვნის საერთაშორისო დღე

27 იანვარს საქართველოს სახალხო დამცველმა საერთაშორისო ფონდმა „ლეასთან ერთად“ ჰოლოკოსტის ხსოვნის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გამართა. ღონისძიებას ესწრებოდნენ სახელმწიფო უწყებების, დიპლომატიური კორპუსისა და სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა და ეთნიკური უმცირესობების საბჭოების წევრები. მონაწილეებმა სანთლები დაანთეს და პატივი მიაგეს ჰოლოკოსტის დროს დაღუპული 6 მილიონი ებრაელის, 2 მილიონი ბოშისა და ნაცისტური რეჟიმის ყველა სხვა მსხვერპლის ხსოვნას.

ღონისძიებაზე სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა განაცხადა, რომ დღევანდელ, კონფლიქტებით აღსავსე მსოფლიოში, სადაც მთავარ პრობლემას ტერორიზმი, ფუნდამენტალიზმი და ეთნიკური ნაციონალიზმის აღზევება წარმოადგენს, ფხიზლად უნდა ვიყოთ, რათა ბოროტებამ კვლავ არ მოიკრიბოს ძალა და მასობრივ ტენდენციად და არნახული განადგურების იარაღად არ იქცეს.

ღონისძიების სტუმრებს სიტყვით მიმართეს საერთაშორისო ფონდ „ლეას“ ხელმძღვანელმა მარინე სოლომონიშვილმა, ისრაელის საელჩოს კონსულმა ადელ ნინომ პოლონეთის ელჩმა საქართველოში მარიუშ მაშკიევიჩმა, ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა საქართველოში იანუშ ჰერმანმა და გაეროს განვითარების პროგრამის ხელმძღვანელმა ნილს სკოტმა. ღონისძიების დასასრულს ჰოლოკოსტის მსხვერპლთა მოსახსენებლად ლოცვა წაიკითხეს მთავარმა რაბინმა ავი მელეხ როზენბლატმა.

ღონისძიება ორგანიზებული იყო სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის მიერ, აშშ–ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებული, საქართველოს გაეროს ასოციაციის (UNAG) „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამის“ (PITA) ფარგლებში.

5.4. საჯარო დებატები – საინფორმაციო გარემო ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში

27 იანვარს სახალხო დამცველმა მორიგი საჯარო დებატები გამართა ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში არსებული საინფორმაციო გარემოს შესახებ, რომელზეც ეროვნული უმცირესობების, მედიის, საზოგადოებისა და სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებთან ერთად ინფორმირების ეფექტური სისტემის ჩამოყალიბებაზე ისაუბრეს. შეხვედრას მედია–ექსპერტი ზვიად ქორიძე უძღვებოდა.

დებატების გახსნისას უჩა ნანუაშვილმა აღნიშნა, რომ ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების მოსახლეობა საქართველოში და მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციას ძირითადად მეზობელი ქვეყნების საინფორმაციო არხებიდან იღებს, რაც აფერხებს სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესს. ასევე, საქართველოს დანარჩენმა მოსახლეობამ ძალიან ცოტა რამ იცის ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში არსებული პრობლემებისა თუ გამოწვევების შესახებ.

შეხვედრაზე მოხსენებები წაიკითხეს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ პეტრე კანკავამ, სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს კოორდინატორმა კობა ჩოფლიანმა, სამოქალაქო ინტეგრაციის ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა ზაურ ხალილოვმა და საინფორმაციო პორტალ JNews–ის რედაქტორმა რიმა გარიბიანმა.

სახალხო დამცველის საჯარო დებატები ევროკავშირის პროექტის „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ხელშეწყობა II“ დაფინანსებით იმართება.

სამოქალაქო განათლების მიზნით ჩატარებული ღონისძიებები

5.5. სახალხო დამცველის ადამიანის უფლებათა აკადემიის ტრენინგები თბილისის საჯარო სკოლებში თემაზე – „ბავშვი და პოლიცია“

27 იანვარს სახალხო დამცველის ადამიანის უფლებათა აკადემიამ პირველი ექსპერიმენტული სკოლის მოსწავლეებისთვის მოკლე სალექციო კურსი ჩაატარა, რომელსაც სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის თანამშრომლები საბა ბრაჭველი და ალდონა ქაჩიბაია გაუძღვნენ. კურსის ძირითადი თემა იყო 14 წელს ზემოთ ახალგაზრდების უფლებები სამართალდამცავ სტრუქტურებთან შემხებლობისას. კერძოდ, პირის მიმართ საპოლიციო ღონისძიებების (შეჩერება, გამოკითხვა, იდენტიფიცირება და სხვ.) და სისხლისსამართლებრივი პროცედურების (დაკავება, ჩხრეკა, დაკითხვა) განხორციელებისას არასრულწლოვანთა დამცავი უფლებრივი გარანტიები.

აღნიშნულ თემატიკაზე სალექციო კურსი არასრულწლოვანთა სამიზნე ჯგუფისთვის პირველად სახალხო დამცველის ადამიანის უფლებათა აკადემიის ფარგლებში განხორციელდა. საგანმანათლებლო საქმიანობა ხელს შეუწყობს მოზარდთა და

პოლიციას შორის შესაძლო დაპირისპირების მშვიდობიანი და სამართლებრივი გზით გადაჭრას, რაც თავის მხრივ, შეამცირებს მოზარდებში პოლიციისა და სამართალდამცავების მიმართ უნდობლობის შეგრძნებას.

6. რეგიონული დეპარტამენტის პერიოდული საქმიანობა

კახეთის ოფისი

6.1. შშმ პირთა უფლებების შესახებ მოქმედი კანონმდებლობა და არსებული გამოწვევები

22 იანვარს, თელავში, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ირინე ობოლაძემ ბულგარეთის საელჩოს მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში ჩაატარა ტრენინგი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის საკითხზე.

ტრენინგის მონაწილე სხვადასხვა საჭიროების მქონე პირებმა, მათმა მშობლები და თემაზე მომუშავე ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ინფორმაცია მიიღეს შშმ პირთა უფლების შესახებ გაეროს კონვენციისა და ეროვნული კანონმდებლობის, ასევე სახალხო დამცველის კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგის ორგანოს საქმიანობის შესახებ. დისკუსიაზე ყურადღება გაამახვილეს საზოგადოებაში არსებულ დისკრიმინაციულ სტერეოტიპებზე.

6.2. მრგვალი მაგიდა მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის გამოწვევების შესახებ

24 იანვარს, თელავში სახალხო დამცველის აპარატმა, ბულგარეთის საელჩოს მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში, კახეთის თვითმმართველი ერთეულების ხელმძღვანელთათვის მრგვალი მაგიდა გამართა თემაზე: „მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმები, ადგილობრივი თვითმმართველობის გამოწვევები“. დისკუსიას სახალხო დამცველის რეგიონული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე გვანცა დავითაშვილი უძღვებოდა.

მონაწილეებმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს თვითმმართველობის მუშაობის, მათ შორის ადგილობრივ დონეზე ბიუჯეტის დაგეგმვის თუ პრიორიტეტების განსაზღვრის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის დაბალ ხარისხზე და შეიმუშავეს თანამშრომლობის გაღრმავებისათვის საჭირო რეკომენდაციები, რაც უფრო ღიას, გამჭვირვალეს და ეფექტურს გახდის ადგილობრივი თვითმმართველობის მუშაობას.

შიდა ქართლის ოფისი

6.3. შეხვედრა სკოლის მოსწავლეებთან

25–30 იანვარს სახალხო დამცველის აპარატის შიდა ქართლის ოფისის წარმომადგენლებმა დალი ჯანიაშვილმა, ნინო ცომაიამ რამდენიმე შეხვედრა გამართეს გორის კერძო სკოლების მაღალი კლასის მოსწავლეებთან და მათ სახალხო დამცველის მანდატი, უფლება-მოსილება, ყოველდღიური საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და ის საკანონმდებლო ბაზა გააცნეს, რომელიც სახალხო დამცველის აპარატის ფუნქციონირებას არეგულირებს; დაურიგეს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის საინფორმაციო ბუკლეტები და ბროშურები.

ქვემო ქართლის ოფისი

6.4. შეხვედრა სოციალური მომსახურების სააგენტოს მარნეულის რაიონული განყოფილების მუშაკებთან

5 იანვარს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის რეგიონული დეპარტამენტის ქვემო ქართლის ოფისის თანამშრომლები ირმა მჭედლიძე და მურადხან გუსეინოვი სოციალური მომსახურების სააგენტოს მარნეულის რაიონული განყოფილების თანამშრომლებს შეხვდნენ და საქართველოს სახალხო დამცველის მანდატი გააცნეს.

შეხვედრაზე გაიმართა დისკუსია ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დახმარების პრობლემაზე სოციალურ სამსახურში, ბავშვთა დაცვის მდგომარეობაზე მარნეულის მუნიციპალიტეტის სოციალური მომსახურების სააგენტოს განყოფილებაში.

6.5. შეხვედრა მარნეულის საჯარო სკოლის პედაგოგებთან

12 იანვარს სახალხო დამცველის აპარატის რეგიონული დეპარტამენტის ქვემო ქართლის ოფისის თანამშრომლები ირმა მჭედლიძე და მურადხან გუსეინოვი მარნეულის საჯარო სკოლების 55 პედაგოგს შეხვდნენ და სახალხო დამცველის მანდატსა და ბავშვთა უფლებებზე ისაუბრეს. შეხვედრის ბოლოს დამსწრეებს სახალხო დამცველის საინფორმაციო ბროშურები გადასცეს.

7. წარმატებული საქმეები

7.1. აჭარის სკოლებში აფხაზური ენის სწავლების დაწყების თაობაზე სახალხო დამცველის რეკომენდაცია გაიზიარეს

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ და შერიგებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა გაითვალისწინეს სახალხო დამცველის წინადადება აჭარაში მსურველებისთვის აფხაზური ენის შემსწავლელი ჯგუფის (კლასების) გახსნის შესახებ და აჭარის ორ სკოლაში **იანვრიდან** აფხაზური ენის სწავლება დაიწყო.

სახალხო დამცველი დადებითად აფასებს ამ ფაქტს და აღნიშნავს, რომ ლინგვისტური მრავალფეროვნება საქართველოს ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის განუყოფელი ნაწილია, ხოლო მისი დაცვასა და განვითარებას საქართველოს სახელმწიფომ მაქსიმალურად უნდა შეუწყოს ხელი.

7.2. სახალხო დამცველის ძალისხმევით სავარაუდო ტრეფიკინგის ფაქტზე გამოძიება დაიწყო

საქართველოს მთავარმა პროკურატურამ გაითვალისწინა საქართველოს სახალხო დამცველის წინადადებები და **6 იანვარს** პროკურატურის ზედამხედველობით შინაგან საქმეთა სამინისტროში გამოძიება დაიწყო სავარაუდო ტრეფიკინგის მსხვერპლი ახალგაზრდა გოგონას საქმეზე, რომელსაც უცხო ოჯახში სავარაუდოდ შრომით და სექსუალურ ექსპლუატაციას უწევდნენ.

სახალხო დამცველის ჩარევამდე შსს ტერიტორიულ ორგანოში და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში ყურადღების მიღმა დარჩათ სავარაუდო ძალადობის და სექსუალური ექსპლუატაციის ფაქტებზე მიმანიშნებელი ინფორმაცია.

7.3. პროკურატურის ზედამხედველობით არასრულწლოვანზე სავარაუდო ძალადობის ფაქტის გამოძიება დაიწყო

9 იანვარს სახალხო დამცველის წინადადების საფუძველზე გამოძიება დაიწყო 15 წლის გოგონას მიმართ განხორციელებულ შესაძლო ძალადობის ფაქტზე, რომელიც სახალხო დამცველის აპარატისთვის მიწოდებული ინფორმაციით, ადრეულ ასაკში დაქორწინდა. საკითხის შესწავლისას გამოიკვეთა მშობლების მხრიდან უგულებელყოფა, ამასთან, გოგონას სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების დარღვევის რისკის არსებობა.

სახალხო დამცველის ჩარევამდე სახელმწიფო უწყებებმა არასრულწლოვანის მიმართ შესაძლო უფლებადარღვევის საქმეზე არ გაატარეს ძალადობის იდენტიფიცირების და არასრულწლოვანის განმეორებითი ძალადობისგან დაცვის უზრუნველსაყოფი ღონისძიებები.

7.4. ოჯახში ძალადობის ფაქტზე გამოძიება დაიწყო

10 იანვარს მთავარი პროკურატურის ზედამხედველობით შინაგან საქმეთა სამინისტროში ოჯახში ძალადობის ფაქტზე გამოძიება დაიწყო.

განმცხადებლის ინფორმაციით, ვ.ც. თავის მეუღლე თ.ტ.–ზე მცირეწლოვანი შვილებზე ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას ახორციელებდა. სახალხო დამცველის აპარატის მიმართვის საფუძველზე თ.ტ.-ს ოჯახში არსებული მდგომარეობა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიულმა ორგანომ შეისწავლეს, თუმცა სოციალურმა სამსახურმა დაადასტურა ოჯახში არსებული ძალადობა, ხოლო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით ოჯახში ძალადობას ადგილი არ ჰქონდა.

მიუხედავად იმისა, რომ სოციალური სამსახური ხაზს უსვამდა ოჯახში ძალადობის, მათ შორის არასრულწლოვნების მიმართ უგულებელყოფის ფაქტებს და აღნიშნავდა, რომ ოჯახში არ არის არასრულწლოვნებისთვის უსაფრთხო გარემო, პოლიციამ მხარი არ დაუჭირა და არ დაეხმარა ბავშვზე ზრუნვის დაწესებულებას ბავშვების უსაფრთხო გარემოში განსათავსებლად.

8. საერთაშორისო სიახლეები ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით

8.1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება

10 იანვარს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე „ოსმანოღლუ და კოჩაბა-ში შვეიცარიის წინააღმდეგ“ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის დაღვევა არ დაადგინა. საქმეზე სასამართლომ მიიჩნია, რომ შვეიცარიას არ დაურღვევია კონვენციის მე-9 მუხლი (აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება), როდესაც ორ მუსულმან მოსწავლეს უარი ეთქვათ ცურვის შესასწავლ საერთო გაკვეთილებზე დასწრების ვალდებულებისგან გათავისუფლებაზე.

ევროპულ სასამართლოს განცხადებით მიმართა ორმა ეთნიკურად თურქმა შვეიცარიელმა, რომელებმაც საკუთარი შვილები, არასრულწლოვანი გოგოები, რელიგიური მოსაზრებებით ცურვის სავალდებულო, საერთო გაკვეთილებზე არ გაუშვეს. გაფრთხილების და საქმის მრავალმხრივი განხილვის შემდეგ, 2010 წელს მშობლები დაჯარიმდნენ 1300-მდე ევროთი, იმ მიზეზით, რომ ისინი მოქმედებდნენ „მშობლის მოვალეობის საწინააღმდეგოდ“.

სასამართლო მიიჩნევს, რომ საერთო გაკვეთილებზე გოგონების სავალდებულო დასწრების მიზანია, დაიცვას უცხოელი მოსწავლეები ნებისმიერი სოციალური წნეხისგან. ბავშვის ინტერესი, რაც ხელს უწყობს მის წარმატებულ სოციალურ ინტეგრაციას, უპირატესია მშობლების სურვილზე. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ ხელისუფლებამ განმცხადებლებს შესთავაზა „ძალიან მოქნილი“ მექანიზმი, კერძოდ, მათ უფლება მისცეს, გამოეყენებინათ მხოლოდ გოგოებისთვის განკუთვნილი გასახდელი და ასევე, გამოეყენებინათ მუსლიმებისთვის განკუთვნილი საცურაო კოსტუმი - ბურკინი.

8.2. „ჰუმან რაითს ვოჩის“ 2016 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ

13 იანვარს საერთაშორისო უფლებადამცველმა ორგანიზაციამ „ჰუმან რაითს ვოჩმა“ (Human Rights Watch) გამოაქვეყნა 2017 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ. ანგარიშში თავმოყრილია ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე ძირითადი მიგნებები 90-ზე მეტ ქვეყანაში და მთელი მსოფლიოს მასშტაბით, მათ შორის საუბარია **საქართველოზეც.**

ანგარიშში აღნიშნულია, რომ საქართველოს არ გააჩნია დამოუკიდებელი, ეფექტიანი მექანიზმი სამართალდამცველების მიერ ჩადენილი დანაშაულების გამოსაძიებლად და ამ კონტექსტში მოყვანილია დემურ სტურუას თვითმკვლელობის საქმე, რომელიც საქართველოს სახალხო დამცველის თქმით, ქვეყნის „რეპრესიული ნარკოპოლიტიკის“ შედეგების მკაფიო მაგალითია.

ასევე საუბარია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შეუზღუდავ წვდომაზე კავშირგაბმულობის ოპერატორთა ქსელებთან, რაც საფრთხეს უქმნის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას; გამოთქმულია შეშფოთება მედიის თავისუფლების საკითხზე (მათ შორის ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“ საქმეზე) და ლგბტ ადამიანების უფლებათა დარღვევებზე (დაფიქსირებულია თავდასხმის 20-ზე მეტი შემთხვევა); აღნიშნულია, რომ ყოფილი თანამდებობის პირების წინააღმდეგ აღძრული რამდენიმე სისხლის სამართლის მაგ: კაბელების) საქმე კითხვებს აჩენდა შერჩევითი სამართლის და პოლიტიკურად მოტივირებული დევნის თაობაზე.

საერთაშორისო დამკვირვებლების შეფასებით, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებმა კონკურენტულ და კარგად ადმინისტრირებულ გარემოში ჩაიარა, რა დროსაც ძირითადი თავისუფლებები ზოგადად დაცული იყო; მართალია ხმების დათვლისას საარჩევნო უბნების თითქმის ერთ მესამედში პროცედურული დარღვევები აღინიშნა, ხოლო ოთხ საარჩევნო უბანზე ფიზიკური დაპირისპირება მოხდა, იყო აგრეთვე ხმების მოსყიდვის, პოლიტიკური დაშინების და არაუფლებამოსილი პირების მიერ აგიტაციის რამდენიმე შემთხვევაც, თუმცა, ეს ფაქტები არჩევნების საერთო შედეგზე გავლენას ვერ მოახდენდა.

„ჰუმან რაითს ვოჩის“ ანგარიშში საუბარია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს დაკვეთით 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ჩადენილი ომის დანაშაულებისა და ადამიანურობის წინააღმდეგ დანაშაულების გამოძიების დაწყებაზე.

9. სახალხო დამცველის აპარატის ამბები

9.1. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის მიერ ჩატარებული მონიტორინგი

იანვარში სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტმა პენიტენციური დეპარტამენტის სხვადასხვა დაწესებულებებში 25 ვიზიტი განახორციელა და 87 პატიმარი მოინახულა.

პატიმრების მონახულების დროს აღმოჩენილი უფლებების სავარაუდო დარღვევების თაობაზე სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტმა, სამართლებრივი რეაგირების შესაბამისად, სახელმწიფო ორგანოებს მიმართა.

9.2. მომართვიანობის სტატისტიკა

იანვრის თვეში სახალხო დამცველის აპარატში შემოვიდა 617 განცხადება. დასაშვებობის გავლის

შემდეგ 469 განცხადება სამსახურების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

- პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტი - 18
- სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვის დეპარტამენტი - 49
- სს მართლმსაჯულების დეპარტამენტი - 216
- რეგიონული დეპარტამენტი - 82
- ბავშვის უფლებათა დაცვის ცენტრი - 35
- გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი - 23
- შშმ პირთა უფლებების დაცვის დეპარტამენტი - 11
- ანალიტიკური დეპარტამენტი - 5
- თანასწორობის დეპარტამენტი - 28
- თავდაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი - 2



განცხადებები თემატურად შემდეგნაირად გადანაწილდა

- ინფორმაციის მიღების უფლება - 36
- დისკრიმინაცია - 9
- რელიგიის თავისუფლება - 1
- გადაადგილების თავისუფლება - 1
- საერთო სასამართლოებში საქმის განხილვის გაჭიანურება - 4
- სისხლის სამართლის საქმის გამოძიების გაჭიანურება - 11
- ხანდაზმულთა უფლებები - 1
- მიგრანტთა, თავშესაფრის მაძიებელ და თავშესაფრის მქონე პირთა უფლებები - 1
- ეკო-მიგრანტთა უფლებები - 1
- დევნილთა უფლებები - 9
- სოციალური დახმარებს საკითხი - 12
- შრომითი უფლებები - 12
- საკუთრების უფლება - 5
- უფლება სათანადო საცხოვრისზე - 5
- პატიმრობების პირობები - 141
- პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობა - 36
- წამება და არასათანადო მოპყრობა - 20
- ბავშვის უფლებები - 25
- გენდერული თანასწორობის და ქალთა უფლებები - 15
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებები - 4
- სხვადასხვა - 268



კონტაქტი

თბილისი:
ნინო რამიშვილის 6. თბილისი 0179
ტელ.: +99532 2234499 / 2913814 / 2913815 / 2913841 / 2913842 / 2913843 / 2913875 / 2913876 / 2913877
ფაქსი: +99532 913841
ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge

ოზურგეთი:
დავით აღმაშენებლის 9
ტელ.: 0496 27 30 53
მობ.: 593 44 44 27

ახალქალაქი:
ჭავჭავაძის 4
ტელ.: 0362 22 32 83
მობ.: 577 12 27 70;
591 96 88 82

ზუგდიდი:
კოსტავას 58
ტელ.: 0415 22 36 11
მობ.: 595 52 53 56

ბათუმი:
მაზნიაშვილის 9
ტელ.: 0422 27 05 44
მობ.: 595 80 78 43

მარნეული:
რუსთაველის 51
ტელ.: 0357 22 19 70
მობ.: 595 52 53 57

გორი:
სამების N1
ტელ.: 0370 27 05 49
მობ.: 551 66 14 77

ქუთაისი:
რუსთაველის 18
ტელ.: 0431 25 33 50
მობ.: 577 55 33 81

თელავი:
ჩოლოყაშვილის 3
მობ.: 591 88 35 38
ტელ.: 0350 27 99 27

ცხელი ხაზი – 1481

რედაქტორი: თეონა გოგოლაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
ნიკო თათულაშვილი
ლევან მესხორაძე